№ 204 30 სეკტემბერი, ხუთშაბათი. 1866 1882 30 სეკტემბერი, ხუთშაბათი. № 204.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით აღარ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

**„დროება"**

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, редакція „Дроэба".**

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 28 ენკენისთვეს. გუშინ მოკვდა აქ სახელმწიფო რჩევის წევრი ღენერალ-ადიუტანტი ბარანცევი.

სენატის არხივი ისეთს მეცნიერს ისტორიკოსს უნდა ჩაბარდეს, რომელსაც შეეძლოს იქ შენახულ ისტორიულ მასალების განხილვა.

გამოჩენილი რუსის მწერალი ივანე სერგეის-ძე ტურგენევი ამ ჟამად ისე კარგად შეიქნა, რომ ხელ-ახლად წერას შეუდგა; ის ახალს მოთხრობასა სწერს.

**მოსკოვი**, 28 ენკენისთვეს. იაროსლავის ინჟინერმა კაზაკოვმა ჯოხით გალახა გუშინ მილლერი, რომელიც იცავდა კუკუევის სტანცაასთან დაღუპულ და დაზარალებულ ხალხის ინტერესებს.

პროცესი სოლოდოვნიკოვების გაკოტრების თაობაზედ კიდევ ოთხ დღეს გაგრძელდება.

**კიევი**, 28 სეკტემბერს. სასამართლომ სამი თვით ციხეში ჩასმა გარდაუწყვიტა გაზ. „კიევლიანინას" რედაქტორს პიხნოს ქალაქის რჩევის ხმოვანის გაზეთში შეურაცხყოფისათვის.

**პეტერბურღის ბირჟა**, 28 სეკტემბ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა— | 95—12 |
| მეორესი— — — — | 91—87 |
| მესამესი — — — — | 91—½ |
| მეოთხესი — — — | 90—12 |
| მეხუთესი — — — | 90—25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 89—50½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89— 5 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—50½ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—19 |

| შინაგანის 5% სესხის ბილეთები: | |
|---|---|
| პირველი სესხის— | — 212—25 |
| მეორე სესხის — | — 206—25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | — 24—12 | პენსი |
| ჰამბურღი | — 206— „ | ცენტი |
| პარიჟი | — — 254— „ | სანტიმი |
| ბერლინი | — „ — „ | პფენიგი |

## დღიური

გუშინ ორშაბათისთვის დანიშნული ამ შემოდგომის პირველი კრება ჩვენი ქალაქის რჩევისა ვერ შედგა, რადგან საკმაოდ ხმოსნები არ გამოცხადდნენ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი რჩევა სულ 72 წევრისაგან შესდგება და კანონიერად ამის კრება ჩაითვლება, თუ მესამედი რიცხვი, ე. ი. 24 ხმოსანი გამოცხადდა; ამ დღეს კი მხოლოდ 22 ხმოსანი იყო კრებაზედ.

* * *

ახალ ეგზარხოსს საქართველოისას მაღალ-ყოვლად სამღვდელოს პავლეს ხვალ, პარასკევს, მოელიან ჩვენს ქალაქში, ამბობენ, რომ ამ დღეს დილით მაღალ ყოვლად-სამღვდელო მცხეთის ეკკლესიაში იქნება მწირველი.

* * *

ხვალ, პარასკევს, მცხეთობაა და დიდ-ძალი ხალხი მიაწყდება რკინის გზას. მუდამ უწესოება, მუდამ თავპირის მტვრევაა ამ დღეს ტფილისის ვაგზალზე იმის გამო, რომ ხალხი ბილეთებს ვერ ჰყიდულობს დროზე, რადგან მესამე კლასისათვის მხოლოდ ორს თუ სამს ადგილას არის ბუდკები ბილეთების გასასყიდლად გამართული. თვითონ ვაგონებშიაც დიდი უწესოება ხდება ხოლმე, რადგან, ბილეთებს რომ დროზე ვერ მოულობენ, ბევრი უბილეთოდ ჯდება ვაგონში და ამის გამო დანიშნულ რიცხვზე ერთი-ორად უფრო მომეტებული ხალხი გროვდება.

კარგი იქნება, რომ რკინის გზის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და ცოტათი უფრო მომეტებული წესიერების დადგენას ეცადოს.

* * *

ამ უკანასკნელ წელიწადებში მცხეთობა დღეს მცხეთის ეკკლესიაში რუსულად წირვა დაიწყეს და ეს გარემოება ერთობ სამწუხაროდ მიაჩნია იმ დიდ-ძალ ქართველობას, რომელნიც იმ დღეს გროვდება ჩვენი მხრის სხვა-და-სხვა შორეულ სოფლებიდამაც. ვერ გაგვიგია—რისთვის და ვისთვის სწირავენ რუსულად საქართველოს ძველს ტაძარში, წმიდა ქართულ დღესასწაულის დღეს, როდესაც მცხეთაში ორი რუსიც არ მოდის ხოლმე და ეკკლესია ქართველებით არის სავსე!

იმედი ვიქონიოთ, რომ ამისთანა უწესოებას წელს და საზოგადოთ შემდეგში ველარ ვნახავთ მცხეთის ეკკლესიაში.

* * *

ზემო-იმერეთში რომ ამას წინად (მღვთის-მშობლობა დღეს) ჩხუბის დროს ერთი აზნ. ალავიძე მოჰკლეს, იმის თაობაზედ გვწერენ:

„დროების" 199 №-ში წავიკითხე

## „დროების" ფელეტონი, 30 სექტემბ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

ისინი წავიდნენ ჯლუნასას, სად ც ჩვეულებისამებრ დასხდნენ ნადიმად. ჯლუნას კარგად ესმოდა, რომ როდესაც უცნობი კაცი უცნობის სახლში მიდის, კითხვით კითხვას დაეძებს ამ კაცის სადგურს, უეჭველია, საქმე უნდა ჰქონდეს რამე და გულით სურდა შეეტყო ამ საქმის შინაარსი, მაგრამ მთის ხალხის ჩვეულება და ზრდილობა ნებას არ აძლევდა, დაეწყო ამაზედ ლაპარაკი, სანამ თვითონ სტუმარი არ დაიწყებდა და ის-კი, როგორც ეტყობოდა, არა ჩქარობდა, თუ ერიდებოდა მეორე მოხევეს.

როდესაც პურის ჭამა გაათავეს, მასპინძელმა თავის მოვალეობად ჩასთვალა გამოსთხოვებოდა სტუმარ-მასპინძელს, რათა მარტონი დაეგდო ისენი და თავისის იქ ყოფნით არ დაეშალა მოლაპარაკება იმათის.

როდესაც ჯლუნა და მთიული მარტონი დარჩნენ, მასპინძელმა ჰკითხა:

— პურ-მარილი გავტეხეთ და სახელი კი არ ვიცი შენი, რა გქვიან?

— მე მეფხიაი მქვიან, შენი კვნესამე!

— ვაჟკაცს ვაჟკაცის სახელი ექნება! შეაქო ჯლუნამ.—კაი გორისა ხარ, ღვთის მადლმა და კაი სახელიცა გქონია.

— ვაჟკაცობისა რაი გითხრა და მტერს კი არ შეუშინდები, ლომისის მადლმა! ამაყად უპასუხა მთიულმა და დაუმატა:

— ჯლუნავ! შენი სახელი განთქმულია ჩვენს მხარეს... შენი ტყვია ნიშანს არ ასცდების, შენი სტუმარი, არვისგან დაიჩაგრების, შენგან ღალატი არ იქნების... საქმედ მოვსულვარ შენთან, თუ ვერ გამიტან მითხარ და წავალ, მოგშორდები.

— მეზობელს საით ელალატების? მეზობლის მოღალატე ღვთის მოღალატეა.. მითხარ რაი გაქვს სათქმელი და წმინდის გივარგის მადლმა, სტუმრისთვის თავს გადავდებ.

— იაგო დასჭრეს, მოკლეს, თუ რაი მოუვიდა? შენ მონადირე ხარ, სულ მუდამ მთაჩი დადიხარ და გეცოდინების, პირდაპირ დაიწყო მეფხიამ და მიაპყრო თვალები.

— რას იცნობ იაგოს, რად გინდა ისა?

— ჩემი ძმად ნაფიცია ისიცა და ქობაც, უ-იმათოდ გუ[illegible]ლარ გასძლო, წამოველ, თუ ცოცხლები არიან იმათთან ვიცოცხლო და თუ მომიკლეს, იმათი სისხლი ავიღო... შენ მოკეთე ხარ იაგოსი—ხელი უნდა მომიმართო.

— მოხევე ჩაფიქრდა რაოდენიმე ხანს.

— მეფხიავ! ღთის მადლმა კარგი ვოჟი ხარ და კარგი გორისა! მაგრამ დროება გამოიცვალა და ნუ გეწყინების თუ სიტყვას გიბრუნებ. უწინდელი დრო ყოფილიყო პირ-და-პირ გიპასუხებდი, არ დაგეკითხებოდი, მაგრამ ეხლა დროება გამოიცვალა, ხალხი გაირყვნა, ძმა—ძმას ველარ ენდობის, მოყვარე—მოყვარესა... ნუ გეწყინების და თუ მატყუებ, იაგოს სამტროდ გინდა ჩემი გამოცდა, პურმარილი გიჭამია ჩემს სახლში, მაი მომშორდი!.. ნუ გმობ!

— აბამე!.. მაგას რას მეუბნები?.. მე ჯალაბაურიანთ გორისა ვარ, ჩემი გორის კაცს ენაც ერთი აქვსთ და გულიც. ლომისის მადლმა, ქვეყანა გაირყვნა, მაგრამ ჩემი გორის კაცებს ...ვ იმდენად შერჩათ გულიც და ნამუსიცა, რომ მტერს პირ-და-პირ უმტრონ და მოკეთეს პირ-და-პირ უერთგულონ. ლომისა იყოს შენი თავდები... მითხარ თუ იცი რამე.

ჯლუნამ კიდევ ბოლიში მოიხადა სიფრთხილისთვის და ბოლოს დაწვრილებით უამბო იაგოს და ნუნუს ამბავი, ქობას აქ ყოფნა და ამან ისე იმოქმედა მეფხიაზედ, რომ იმის ვაჟკაცურს პირისახეს ბავშური სიხარული დაეტყო.

— მადლი ლომისას, რომ აგრე გადარჩენილან! წამოიძახა მთიულმა და ქუდის მოხდით პირჯვარი გადიწერა.

— სადაა ქობა, მიჩვენე ჩქარა!

— მეეითა სძინავს, იქა მყავს დამა-

*) იხ. „დროება", № 202.

შენიშვნა, რომელიც შეეხება სოფ. ზოვრეთში (და არა ჯამუკას, როგორც ეწერა) ამ თვის 8-ს ესე იგი მღვთის-მშობლის დღესასწაულზედ მომხდარს შემთხვევას მდივნებსა და ალავიძეს შორის. შენიშვნაში იწერებიან, ვითომც მდივანსა და ალავიძეს რომ ჩხუბი მოუვიდათ, მაშინ სხვებიც მოემატნენო და ამ დროს მდივანმა ალავიძე მოჰკლაო. მერე იწერებიან: მდივანს ჭრილობა აქვს მიღებულიო და სიკვდილით კი არ მოკვდებაო.

„ამ უბედურ შემთხვევაზედ ეს ორჯერ იყო დაწერილი გაზეთს „დროებაში", მაგრამ არც—ერთჯელ არ ყოფილა ისე, როგორც მოხდა ეს შემთხვევა; ამისათვის მე მსურს ამ საქმის შესახებ ვსთქვა ორიოდე სიტყვა.

„მართალია, მდივნებს და ალავიძეს (ერთ ძმას) მოუვიდათ ერთმანერთში ჩხუბი; მაგრამ მდივნები ისე გაცოფებული ომობდნენ ამ ერთ ალავიძესთან, რომ მათთან მისვლა და გაშველება ვერავინ ვერ გაბედა, რომ სიკვდილისგან გადაერჩინათ ალავიძე, არა თუ სხვები მიპატებულიყვნენ, როგორც შენიშვნაში არის მოხსენებული. თვითონ მე ვიყავ ამ გარემოების მნახველი და შემიძლია ვსთქვა, რომ ალავიძეს არავითარი დანაშაულობა არ გამოუჩენია იმ დროს, გარდა იმისა, რომ ერთი ძმა (ეხლა რომ მძიმედ დაჭრილია) ერთ მკვლელთაგან მდივნის ქალთან ცხენით დასეირნობდა. ამ დროს შაიქნა ხმლებისა და ხანჯლების ტრიალი, მდივნები ბევრნი იყვნენ და საბრალო ალავიძე ცხენიდგან, დაჭრილი ჩამოაგდეს. ამ დროს მეორე ძმა ალავიძისა (მოკლული) მივიდა ამ საქმის შესატყობლად და მაჩხუბრების დასამშვიდებლებათ, რადგან სოფლისაგან ამორჩეული ხევისთავი იყო, თუმცა ის კი არ იცოდა, რომ მისი ძმა მიწაზედ ეგდო და სისხლის მორევში სცურავდა. დაინახეს თუ არა მდივნებმა ეს მეორე ძმაც, ცოცხალ-მკვდარს თავი დაანებეს და ახლა ამას გამოუდგნენ იარაღით. საბრალომ დიდ ხანს იგერა ესენი თავის ხანჯლით მაგრამ ბოლოს მათივე მსხვერპლი შაიქნა. ის მოკლეს.

„მე თვითონ დავესწარ და ვიყავ მომხმარებელთაგანი იმის ურმით სახლში წაღებაზედ და როდესაც მოკლული გასინჯეს, ნახეს, რომ მას 24 ჭრილობა ჰქონდა მიღებული სხვა და სხვა ადგილებზედ.

მეორე ძმა კი, მძიმეთ დაჭრილი, ეხლაც ავათ არის და იმის მორჩენაც საეჭვოა".

ბ. ღ.

## „დროების" კორრესპონდენცია

**სოფ. სამიქაო, 20 სექტემ.** უველასთვის ცხადია, შემდეგ მისა, რაც გაზეთებში დაიწერა სამღვდელოებაზე, რომ უკანასკნელს არც ესმის თავის მძიმე მოვალეობა და ვერც ასრულებს მას შეძლებისა-და-გვარად კეთილ-სინიდისიერად და ეს უბედურობა სჭირს, როგორც რუსეთს, ისე ჩვენ საქართველოსაც.

ამ გარემოების გამო უკანასკნელ დროს სასულიერო სემინარიებს ერთობ ემდურიან და მათი გადაკეთების გაუმჯობესობის სურვილს საზოგადოება საქვეყნოდ აცხადებს.—ამასთანავე ცხადია, რომ თუმცა სემინარიაში კურს შესრულებული მღვდელი, რაც უნდა იყოს ერთნაირად ნასწავლი, გონება გახსნილი და განათლებული ვერ ასრულებს თავის მოვალეობას და მით საზოგადოების საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს, მაშ რა უნდა ითქვას იმ მღვდელზე, რომელსაც არსად არარა უსწავლია და მით ზნეობითი მხარე და ხასიათი თვისი ვერ გაუმაგრებია, რომელსაც უგუნურობა, ცრუ-მორწმუნება და მტაცებლობა ხორცში და სისხლში აქვს გამჯდარი და ამისთვის მას თავის კერძო და ვიწრო ინტერესების მეტი არა აგონდება-რა!

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა მღვდელი, როგორც სხვა სფერისაც ამისთანა საზოგადო მოქმედი პირი, მავნებელი უნდა იყოს სახალხო ინტერესებისთვის და განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ხელში ეძლევა შემთხვევითი უპირატესობა, უფლება, ძალა, ანუ როცა ის ხდება სხვების უფროსად:

გარემოება, რომელმანც ეს მოსაზრება გამომათქმევინა, მდგომარეობს შემდეგში:

სამიქაოზე გადაბმულია სოფ. მაიდანი, სადაც ამას წინად იქაური მღვდელი შუბლაძე გარდაიცვალა და სადაც შემდეგ მეცადინეობისა და ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოწერილობითაც ამ ზაფხულს ადგილობითი ბლაღოჩინი, მამა თ. კ—ძე, დაინიშნა მღვდლათ; მაგრამ, საქმე იმაშია, რომ როცა ის ჩავიდა იქ თავის მოვალეობის ასასრულებლად, მთელი სოფლის ხალხი აირია, აღელდა და არ ნდომულობდა ახლად დანიშნულს მამა ბლაღოჩინს თავის მოძღვრათ, ასე წარმოიდგინეთ, ორჯერ სამჯერ კვირა დღეს, შეხედა რა ხალხმა, რომ მწირველი ბლაღოჩინი კ—ძეა, სულ ერთიანათ ეკკლესიიდგან გამოვიდა, რათა არ მოესმინათ წირვა მათთვის უსიამოვნო მღვდლისა.

ამბობენ, რომ მაიდნელებმა ბევრი ეცადეს, რომ თავიდგან მოეშორებინათ სულიერი მამა ბლაღოჩინი, მაგრამ, ვგონებ, ჯერ-ჯერობით ვერა გახდენ-რა.

„ხმა ერისა—ხმა ღვთისაო", ნათქვამია, მაგრამ ეს მხოლოდ ნათქვამათ რჩება და „ხმა ერისა", ჩვენდა საუბედუროდ, ყოველთვის რჩება ჩვენში უმნიშვნელო ხმათ, რომელსაც არავითარ ღვთიურ ძალას და გავლენას არ აძლევენ.

რა არის მიზეზი ამ გარემოებისა, სულიერი მამის ამ ნაირათ აძულებისა მთელი სოფლის ხალხისგან და რა მნიშვნელობა აქვს ამ შეურაცხყოფას? ამის მიზეზების ცალ-ცალკე გამოკვლევას არ შევუდგები, მაგრამ ეს კი ყოველი კაცისთვის ცხადია, რომ მიზეზი აქ უნდა იყოს ბევრი და საფუძვლიანი.

ეს გარემოება ჩვენ ცხადათ მოგვითხრობს, რომ ჩვენს საყვარელს საქართველოშიაც აქა-იქა სოფლის ხალხი ილვიძებს ხანგრძლივი ძილისაგან, თავის გონებითი ძალას იხსნის და ამასთანავე ბრძოლას და პროტესტსაც უცხადებს ის იმ წამრთმევთა და მტაცებელთა ძალებთ, რომლებისაც სახელი ჩვენში ლეგიონია.—ამისთვის ჩემის აზრით საჭიროა, რომ მემატიანემ ამ ნაირ მოვლენას ჩვენს ცხოვრებაში ხაზი გაუსოს.

ამ შემთხვევის გამო, რომელიც ზემოთ აწერილია, და კიდევ ერთი საფუძვლიანი საბუთის ძალით, რომელშიაც ეჭვის შემოტანა არ შეიძლება, რადგან ის ოფიციალურია, მე სრულიად მჯერა ის ცუდი ხმები, რომ-

---

ლული... პარგა ხანია რაც სძინავს, ეხლა გაღვიძებაც შეიძლება. უპასუხა ჯლუნამ და დაუძახა თავის დედაკაცს, რომელსაც უთხრა:

— ჩადი კობაი გააღვიძე, უთხარ მეფხაია არის აქა-თქო, შენი ნახვა უნდა-თქო... აქ კი ნუ ამოვა, ჩვენ ჩავალთ იმასთან.

დედაკაცი მაშინვე გაბრუნდა, ცოტა ხანს შემდეგ კაცებიც ადგნენ და სამყოფო სახლში ერდოთ ამოჭრილის ნახვრეტიდგან, რომელსაც უბრალო კიბე ჰქონდა მოდგმული, ჩავიდნენ კობასთან.

საზოგადოდ იმ მხრის მთის ხალხის ზენა სახლი ბნელია, თუმცა უმრავლესი ერდოები კვამლის გასასვლელად, ამოჭრილი ჭერში რაოდენსამე შუქს უშვებს და ქვენა სახლი, რომლის ერდოც ამ ზენა ბნელს სახლში ამოდის და არავითარს შუქს არ აძლევს, წარმოიდგინეთ რა იქნებოდა?

ამ ქვენა სახლში, საზოგადოდ ზამთარში საქონელს აყენებენ და რასაკვირველია იქაური ყინვების შიშით, დასათბუნებლად, რაც შეიძლება ცოტა სარკმელები აქვს და ისიც მუდამ დახურული, ამოჭედილი.

აი ამ გვარს სახლში ჩავიდნენ ჯლუნა და მეფხია, რომელთაც რაოდენიმე ხანი მოუნდათ შედეგამ, სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდნენ. ჯლუნა, როგორც სახლის პატრონი და შეჩვეული თავის სახლს, გაჭედილს ბაგებით, პალოებით და კირკლებით, მიუძღვებოდა წინ, უკან სიფრთხილით მისდევდა მეფხია, რომელსაც ეშინოდა ფეხი არაფრისთვის წამოედო.

— მეფხიავ! მოხველ მშვიდობით! ერთბაშად გ დაეხვია მთიულს კობა, რომელიც ბნელაში ვერ დაინახა მეფხიამ.

— კობავ! შენი კვნესამე!.. მოეხვია ისიც.

ორნივ მეგობარნი შეიყარნენ ისეთის სიხარულით, ისეთის სიამოვნებით, როგორც ნამდვილი ძმანი.

პირველი სიხარულისა და ერთმანერთის წარსულზედ კითხვის შემდეგ, მეფხიამ უამბო თავისი სურვილი იმათთან შაერთებისა, რადგანაც იმან ვერ გაუძლო ამღენს უსამართლობას და ყველა ძალლის ბატონობა.

— შემომაკვდების ვინმე, შენი კვნესამე, შემომაკვდების. გაათავა იმან თავისი ამბავი. —ეხლა ვაჟნი ისენი არიან, შენი კვნესამე, ვინც მოძმეთ გამყიდავია, მოღალატეა, ვინც მეზობელზედ მიხრობლად გამოდის. იმათა აქვსთ ძალა, ისინი არიან ბატონები! რაიც უნდათ იმას ჩადიან... ღვთის მადლმა მე იმათთან ვერ გავძლებ!

— ნუ მეფხიაისი, ნუ! რაითვი უნდა მოიშალო სახლ-კარი? ჩვენ თავზედ ხელ აღებულები ვართ, ჩვენ რას გვიყურებ? დავრჩებით ცხვრის ტყავი ვართ, გავწყდებით—თხისა.

— სახლს რაღა მოშლა უნდა, შენი კვნესამე? მოშლილია და მოშლილი! სირცხვილი ალარსად, და სამართალი! არა კობავ, შენი კვნესამე, გული ველარა სძლებს შემომაკვდების ვინმე და ძნელია.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, რომ საღამოზედ კობა და მეფხია წავლენ არწიაში და ჯლუნა-კი, რაწამს მოამზადებდა ტროიკას, ნუნუს წაიყვანს ძაუგს თავის მამასთან. საღამომდინ—კობა მაინც ფარულად უნდა ყოფილიყო და მთიულს-კი მიზეზი არ ჰქონდა მალვისა, რადგანაც იმას არა ვინ ეძებდა და ამისი მოხევეებისას სტუმრობა-კი ჩვეულებრივი იყო. თუ ვინიცობა ჰკითხამდა ვინმე მოსვლის მიზეზს, ის ეტყობოდა რომ იმას მწყემსად დადგომა უნდოდა.

თუმცა ეს ყველა მოხერხებით იყო შეთხზული და მთიულს ვერვინ გამოეკიდებოდა, მაგრამ მეფხიამ კობასთან დარჩენა ირჩია, რადგანაც დიდი ხნის უნახავი იყო და კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი.

ჯლუნა გამოვიდა გარეთ, ჩავიდა დუქნის კარში სადაც ბ. ნაჩალნიკი და ბ. დიანბეგი ბძანდებოდნენ და ხალხი ჰყავდათ შემოხვეული გარს.

ჯლუნა მივიდა ახლოს და გაიგო, რომ მილიციას ამზადებენ ჩეჩნებთან საომრად და ამ ხალხს ჰპირდებიან ყოველ გვარს წყალობას, ურჯულოებთ ნ ბრძოლისთვის, რომლისთვისაც ჯილდოს მიიღებენ ჯერ ხემწიფე იმპერატორისაგან და მერმე ზეციურს—სარწმუნოების დაცვისთვის.

ხალხი ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა მოსაუბრეთ ენა მჭევრობას; იმათ შორის ბევრი ისეთი ხალხი იყო, რომელთაც ენახათ ჩეჩენი, იმისი მდებარეობა, გაუსვლელი ხელუხლები ტყეები და კარგად ესმოდათ რა ძნელს საქმეზედაც გზავნიდნენ ამათ.

ბოლოს ერთმა მოიხადა ქუდი, წადგა წინ და დაიწყო ასე:

— ჩვენ ვიცით, შენი ჭირიმე ბატონო! ხემწიფეს სამსახური უნდა.. ჩვენ ყინვასა და სიცივეში, როდესაც

...ლებიც დასეირობენ საზოგადოებაში ...ნაჩვენებ ბლაღოჩინზე. — ამბობენ, ...რომ თუმც რომელიმე მღვდელმა მას ...არ ასიამოვნაო, მაშინ ჩვენი ბლაღოჩინი არავითარ საშუალებას არ დაზოგავს მოწინააღმდეგეს დასასჯელათაო; ...ამბობენ, რომ ის სამართალს ფულით, მეგობრობით და ნათესაობით ...რისო და სხვ. და სხვ.

ზემოთ მოხსენებული საბუთი გახ...ლავს შემდეგი:

სოფ. სამიქაოში წმიდა გიორგის ეკკლესიაზე იყო დანიშნული ორი მღვდელი: ერთი ი. პ—ძე, მამა თვით ბლაღოჩინისა და მეორე ი. გ—რია, უფრო ბევრი ნამსახური და დამსახურებული, უფრო მიგნებული და ...კრგის მცნობი. ბლაღოჩინმა იმ ნაირათ შეადგინა ამ მღვდლების სამსახურის სიები და წარუდგინა ყოვლად სამღვდელოს, რომ ყოველიფერში უპირატესობა მისცა ი. პ—ძეს, მამას, რომელიც ყოვლად სამღვდელომ დანიშნა ეკკლესიის შტატის მღვდლათ და კიდევაც დააჯილდოვა, მაგრამ, ცოტა ხანს იქეთ საიდგანაც იყო, გაიგო ყოვლად სამღვდელომ, რომ ბლაღოჩინმა პ—ძემ ის შეცდომილებაში შეიყვანა და მით უსამართლოება ჩაადენინა. ამისთვის მან დაარღვია თავისი პირველი განჩინება და სულ სხვას ნაირათ დაადგინა; ბლაღოჩინს პ—ძეს ...დატყუებისთვის ოფიციალური მიწერილობით, 474 №-ით, სასტიკი შენიშვნა მისცა და დიდი უკმაყოფილება გამოუცხადა: მე თითონ წავი...კითხე ნაჩვენებ №-ით მიწერილობის ...არი, რომელშიაც ყოველი ეს გარემოება დაწვრილებით იყო მოხსენებული, თორემ სხვას კიდევ არ დაუჯერებდი.

შემდეგ ამისა, ვგონებ, საინტერესო იქმნეს განხილვა; თუ რისთვის ამოურჩევიათ ამ ნაირი ბლაღოჩინი? სამღვდელოება თავის დღეში პ—ძეს არ ამოირჩევდა, თუმც უწინდელი ბლაღოჩინი პ. გაბუნია არა, რომელმაც სთხოვა მეკენჭეებს, რომ მასთვის თანაშემწეთ მიეცათ პ—ძე, რადგან უკანასკნელი მუდამ მასთან იყო და მას ახლდა; მეკენჭეებიც ყაბულს გახდენ და როცა გაბუნია მოკვდა, მაშინ სამღვდელოების უნებლიერათ, მაგრამ გარეგანი შეხედვით კი კანონიერათ, ბლაღოჩინათ მამა თ. პ—ძე გახდა, როგორც თანაშემწე.

ყველა ზემო ნათქვამიდგან მკითხველი ცხადათ დაინახავდა, რომ მომავალში ჩვენი ბლაღოჩინი—ბლაღოჩინობას თვალითაც ვერ იხილავს; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ნაირი მღვდელიც არ ვარგა, თუმც თავის ოინები არ დასტოვა.

ლ. ზარათელი.

---

**გურია**, 25 ენკენისთვეს. ვინ არ იცის თუ დღემდინ რა მდგომარეობაში იყო გურია, სანამ არ გარდასცეს ჩვენი მაზრა ბათუმის მაზრის, საიდამაც მოვიდა ბ. სმეკალოვი და ასე დაამშვიდა ქვეყანა, რომ ხალხი უშიშათ დადის ერთმანეთში და გლეხებიც უშიშრათ გადიან თავის ყანებში. მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა რომ ჩვენს უბედურს ქვეყანას თვით მართებლობა ვერას უშველის, სანამ მიდგომ-მოდგომა, პარტიობა, კაცის მოყიდვა და ამხანაგის და ძმის გაცემა ერთი შაურის სარგებლობისათვინ არ მოისპობა.

ერთს მაგალითს მოგახსენებთ, ბ. ჩვენს მარშალზედ თ. ვ. ერისთავზედ. როცა თავად-აზნაურობა მეტის-მეტათ შევიწროვდა ავაზაკების გავრცელებით; როდესაც ამ გარემოებას ყური არავინ უგდო, არც ჩვენს საჩივარს მიაქციეს ყურადღება და არც იმ ხშირ წერილებს, რომელიც იბეჭდებოდა თქვენ პატივცემულ გაზეთში, მაშინ თავად-აზნაურობა იძულებული შეიქნა გაენეცხადებია ქუთაისის უკანასკნელს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაში თავის საჩივარი; მაშინ ჩვენმა მარშალმა მოახსენა თავის მეკენჭეებს, რომ მე თქვენზედ უფრო ვსწუხვარ ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობაზედო, მაგრამ აქ კრებაში მაგისი ადგილი არ არისო, და ექვს ივნისს მობრძანდება ქვეყნის დასავლელად უ. მთავარ-მმართებელი და მაშინ დავხვდეთ ყველანი გურიის სამზღვარზედ, მე თვითონ მოვახსენებ, რადგანაც ბევრჯერაც მომიხსენებია ბ. გუბერნატორისათვის,—მაგრამ არ შეგვისმინაო.

როცა მობძანდა თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ჩვენი მარშალი არა თუ გადაგვიდგა, იმან ხელიც არ მოუწერა იმ 185 გურიის თავად-აზნაურის საჩივარზედ, რომელიც მთავარ-მმართებელს მივართვით და თავი გაიმართლა მითი, რომ საჩივარზე ხელს არ აწერენ იმისი ნათესავებიო. ეს კიდევ არაფერი: ამავე მარშლის პირით, თუ ჩაგონებით მთავარ-მმართებელს მოხსენდა, რომ გურიის თავად-აზნაურობას არაფერი დაეჯერებაო. კარგი თავად-აზნაურობას წარმომადგენელი ბრძანებულა განა?!

ეხლა, ამავე თ. ვ. ერისთავის შუამავლობით, ბ. სმეკალოვმა შეჰყარა ამ თვის 9-ს გურიის რამდენიმე-ოცდა-ათამდინ-თავად-აზნაური, რომელთაც მიანდო იმის განხილვა—თუ ვინ არიან გურიის თავად-აზნაურობაში საეჭო ყოფა-ქცევის კაცები და ვის რა სასჯელი უნდა გადახდეს.

ამ უზენაეს სასამართლოის წევრებად ბ. მარშალს და თ. ლ. დ—ანს დაუნიშნავთ ისინი, ვინც მათი სურვილის წინააღმდეგ ანუ უკეთ ვსთქვათ, ისინი ვისაც თ. დონდუკოვისადმი მირთმეულს ადმინისტრაციის უვარგისობის შესახებ ქაღალდზედ ხელი არ მოუწერია. ამ ლინჩის სასამართლოს წევრებად, სხვათა შორის, იყვნენ: მაზრის უფროსი, ორი მომრიგებელი შუამავალი, რომელნიც გურიის მებატონეთ არ ითვლებიან, ორი პოლიციის ნაპრისტავები, რომელნიც ადრინდელ მაზრის უფროსის გერარდისაგან არიან სამსახურიდამ დათხოვნილნი და ზოგიერთი სხვებიც, მომეტებული ნაწილი ადმინისტრაციის მომხრე პირნი.

ამ გვარს სასამართლოს რა გარდაწყვეტილებაც უნდა დაედვათ, ამას თქვენც კარგად მიხვდებით: მომეტებულ ნაწილს იმ პირთ, რომელთაც ზემოხსენებულ საჩივარზე ხელი ჰქონდათ მოწერილი, რასაკვირველია, რაღაც უმიზეზო მიზეზი მოუძებნეს ზოგს ხუთი წლით გარდასახლება გაუჩინეს, ზოგს ათი წლით ზოგს სამუდამოთ, ზოგს ერთი წლით, ზოგს რამდენიმე თვით; და იმათ კი, ვინც ჩვენ ადმინისტრაციის მეგობრად ითვლებიან, ამათ შესახებ ბ. ღუბერნატორს ეთხოვოსო, რომ ჩაგონება (Вкушеніе) მისცეს, გააფრთხილოსო!

წარმოიდგინეთ, ერთ თავმომჩივან პირზედ თ. ზ. გუგუნავაზედ რომ ვერარა მოუნახეთ, შეუტყვიათ ცოლი

---

...ქი და ქარიშხალი ყოველ წუთს ...ქიდის „ჩაგვჩუმქროს“, როდესაც ...ყოველ წუთს გადმოწოლილი თოვლები გვექადის თავზედ დაგვეცეს— ...დივართ გზების საკეთებლად ჯარებისთვის... მარხილებით და ზოურ...ით ამ გაჭირვებაში, მთაზედ გა...ზიდვაქვს იმათი ბარგი და საომარი იარაღი; ვეზიდებით შეშას, თივას და ხორაგს... ყველა ამას სიხარულით ვასრულებთ იმად, რომ ხემ...ფეს—სამსახური უნდა... უწინ ჩვენ ...ენი არ გვეხდევინებოდა, მაგრამ ...ჩვიეთ, თუ-კი სამსახური შეგვიძლია—ხემწიფის ჭირის ნაცვალი იყოს ...ენი თავი... მაგრამ ჩიჩნებთან სა...მრად ნუ გაგვგზავნით. ჩვენ მეზობლები ვართ ქისტების სოფლებთან, ...ერთმანერთში მოყვრობა გვაქვს მტრედ ნუ გადაგვკიდებთ, თორემ, ღვთის ...ლმა! ერთმანერთს დავლევთ.

— ხემწიფის მოწინააღმდეგენი თქვენც მტრები უნდა იყვნენ. თქვენ ...და წახვიდეთ საომრად, რადგანაც ...მთავარ-მმართებელი ბრძანებს.

— წასვლით წავალთ, მეტი რაი ...ა გვაქვს, შენაი ჭირიმე, მაგრამ ...თვის ყველაზედ ძნელია იმათან ...ების აშლა. ღმერთს არ მოეტყუე... მტრისა არ გვეშინიან, არც სიკვდილს გავექცევით, მაგრამ ისინი არ არიან ჩვენი მტრები.

ამ ლაპარაკის შედეგი ის იყო, რომ ნება უნებურად უნდა მოგროვილიყო მთის მილიცია, ჩამოეტანათ თავიანთი წმინდა დროშები და რამდენიმე დღის შემდეგ მთის მებატონის გოშპარაშვილის წინამძღოლობით— წასულიყვნენ დარღოსკენ, სადაც აგროვებდნენ დიდს ჯარებს და ერთის ძრიელის იერიშით შამილის გატეხას და ჩიჩნის დაპყრობას აპირებდნენ. იმაზედ-თუ რამდენათ გაუმართლდათ ეს იმედი, ჩვენ ქვევით გვექნება უფრო ვრცლად ნათქვამი და ამისთვის აქ მეტს აღარას ვანბობ, გარდა იმ სიხარულისა, რომელიც აღუძრა გულში ამ ამბავმა მებატონეთ, კეთილ შობილობას.

გოშპარიშვილის გარდა კიდევ მრავალი ხალხი გროვდებოდა თავადი, თუ აზნაური, ამ ბრძოლისთვის და იმედი ჰქონდათ, რომ იაფად დაუჯდებოდათ ჩინებ, რომელსაც ისეთი პატივი დაედო თავათი ვარანცოვის მართველობის დროს; ამან შეაჩვია ევროპიულს განაზებულს დროს გატარებას ჩვენი მებატონები და აღუძრა სურვილი იმოდენი საშუალების მოპოებისა, რომ შესძლებოდათ თავმართველის ბალებზედ სიარული და თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამისთვის-კი პრიკაზის შემდეგ, ყველაზედ უადვილესად დაინახეს სამსახურით და ჩინებით სიმდიდრის მოპოება. იმიტომაც გარბოდნენ ისეთის სიხარულით.

რამდენიმე ყმაწვილი კაცი შეყრილიყო გოშპარაშვილთან, სადაც საერთო სიხარულს ეძლეოდნენ ჯარში წასვლის გამო. იქ ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელნიც საფუძვლიანად დაჰკვირვებოდნენ თავიანთ საქმეს, რადგანაც იმათ მიზნათ გახდომოდათ მარტო ბრძოლა, თავის გამოცდა, ჩინი პატივი და განსვენება. მხიარულებას ბოლო აღარა ჰქონდა და ხალხის აზრს, მოთხოვნილებას განშორებულნი დასხდომილიყვნენ ნადიმათ, რომელის დროსაც მრავალ-ჟამიერს შესცვლიდა აზარფეშა, ანუ მცერიანი ჯიხვის მწვადი, ნათავაზები იქვე მოქეიფე მეზობლისგან...

---

მაენი ამ ნადიმსა და ლხინში იყვნენ, როდესაც კობა და მთიული გამოესალმნენ მასპინძლებს და მიიპარებოდნენ ყუროს მთისაკენ; ისინი ისე ავიდნენ წვერზედ, ჩავიდნენ იმ ადგილს სადაც მოკლული ჯიხვი დაეგდოთ კობას და ჯღუნას, რომ არავის შეხვედრიან. აქ ცოტა შეისვენეს, გაწვნენ ბალახზედ, რათა დაღალულს სხეულს ძალა მოეკრიფა, ამის შემდეგ ეფხიამ წამოიკიდა ნადირი და გასწიეს.

ისინი დაადგნენ გვირგალას იქით ბილიკს, რომელიც მიდიოდა მდინარე ხდის პირობაზედ, გაეიდნენ ჩხატისთავთან და ის იყო უნდა გადასულიყვნენ სამშვიდობოს, როდესაც გვერდიდგან ხმიურობა მოესმათ და აშკარად გაიგონეს რუსული ლაპარაკი:

— ვინ მოდის? დაუყვირეს მიმავლებს.

მგზავრებმა ნახეს, რომ აქ გზა შეკრული ყოფილიყო რუსის ყაზახებისაგან და გამობრუნება-კი აღარ მოხერხდებოდა; ამისთვის ისინი გადახტნენ გვერდზედ და მოეფარნენ იქვე აყუდებულს კლდეს.

— ვინა ხართ? კიდევ მიესმათ იმათ.

— ჩვენა ვართ და აბა დედა შეირთეთ ცოლად, თუ თქვენი კაცობა არა სცადოთ. ამაყად უპასუხა კობამ.

ა. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

მოსკოვში ყავსო და ამისთანა კაცი ქვეყნისათვის მავნეაო!

ამ გვარად შედგენილი სია და გარდაწყვეტილება წარუდგენით ბ. სმეკალოვისათვის.

რაღა თქმა უნდა, რომ საკუთარი სამართალი კარგი რამ არის და ყველასთვის სანატრელი. მაგრამ საქმე იმაშია—ვინ და ვისგან არიან მოსამართლეები ამორჩეულნი, რა და ვის გავლენის ქვეშ მოქმედებენ ესენი, როდესაც რომელიმე კაცის ბედ-იღბალს სწყვეტენ და რამდენად აქვთ მათ ძვალ-რბილში მიუდგომლობა და უანგარობა გამჯდარი. საუბედუროთ, ბ. ჩვენი მარშლისაგან შემდგარი წლევანდელი სასამართლო ვერც ერთ იმ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი რიგიანი სასამართლო.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოგზაურებთა, რომ ამ წლის 1-ის ოქტომბრიდგან მე ავიღე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კროვატებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა ურუხმაზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუა ეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდი
გევორქ ვარლამის-ძე ახნაზაროვი.
(10—7)

საუკეთესო
**ღვინო.**

მიხაილოვის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირ-და-პირ, მიკირტუმოვის სახლში გავაღე საუკეთესო კახური ღვინების სარდაფი. მაქვს პატივი შევატყობინო საზოგადოებას რომ ჩემს სარდაფში ისყიდება ნამდვილი კახური შეუღებავი ღვინოები და მაგასთან იაფად.

კახური ღვინო წითელი და თეთრი 20 კ.—1 მ. ბოთლი.

თუნგი 80 კ.—5 მ. ამას გარდა ვინც სხვა ადგილებიდან მოიწადინებს გამოწერას პირ-და-პირ ჩემგან და ბლომად, ჩვეულებრივი უსტუპკა ექნება.

იაგორ სერგეის-ძე სარქისოვი
(2—2)

ექიმი რეიხი
დაბრუნდა ქალაქში.
თვალებით ავად-მყოფების
მიღება შეიძლება უწინდებრივ არსენალის ქუჩა (წმ. დავითის მახლობლად), სახლი № 17. (3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**თამარ დედოფალი**
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**ეროვა**
თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ

ახალი ქართული
**კარაბადინი**
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**სახსოვარი**
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
**მოთხრობანი**
წიგნი მეორე.
ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. პერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
**მწყემსის სტვირი**
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
აღაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**მამულის**
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
**იგავ-არაკნი**
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება
ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**
сост. Д. П. Пурцеладзе.
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი


## ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | |
|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | |
| პირველის ხარისხის—1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ —1 გირ. | 3 1/2 |
| მესამის „ —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | |
| პირველის ხარისხის—1 გირ. | 5 1/2 |
| მეორის „ —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | |
| პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ —1 გირ. | 4 1/2 |
| ძროხის ხორცი: | |
| პირველის ხარისხის —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | |
| პირველი ხარისხის —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ —1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ
დრამა
**სამშობლო!**
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


Дозволено цензурою. Тифлисъ. 29 Сентября 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.